ახალი

ჯარიანი

„მედნიერია ის, ვისაც
სამშობლოსათვის უძგერს გული„



28 აგვისტო - 10 სექტემბერი 2015 წელი №16 №8098 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.



უფალო წმი-
დაო დედაო,
მშობელო
უფლისა
წმიდათა
უწმიდესის
სიწყალეთ,
შეიწირე ჩვენი
ეს ევ-
ლრენანი ჩუენი
და ლოცვანი
წყალობანი
შენნი და
უხუებანთა უფ-
სუფლთა
შენთა მიერ
ნუ მოიხსენებ
სიმრავლესა
ცოდვათა
ჩუენთასა,
არამედ უეთი-
ლად აღგვის-
რულენ ვე-
ლრენანნი
ჩუენნი, მოგ-
ვანიჟე ჩუენ
სიმრთელე
ხორცთა და
ცხოვნებანი
სულთა, გვიხ-
სენ ჩუენ
ჭირთაგან და
მწუხარებათა
უფლთა და
ზეციურისა
სავანისა
მემუდრეგ
გამოგვჩინენ
უფლნი ხა-
მართალად
მგალობელნი
ღმერთისა მო-
მართ: ალი-
ლუია.

84-ე წელია
ჩვენი
გაზეთი იწერება,
ვგრილავებდ,
ინახავდ
რეალობის
იცცოცხლებდ,
ბანერს
ვერ უხლიდ
უკითელ
ჭრილებად,
ქმნიდ ჩვენი
ცხოვრებების
შეუღლებებელ
მაცდანდ ...
გამოიწერეთ
“ახალი
გაზეთიადი” და
გახლით ჩვენი
მეგობარი

ზეთისხილის მთაზე ლოცვისას ღვთისმშობელს მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და ახარა, რომ მისი ზეცაში აღსვლის დრო ახლოვდებოდა სამი დღის შემდეგ. ამ ხარების დასამოწმებლად მას სამოთხეში დანერგული ფინიკის ხის ტოტი გადასცა და უთხრა, რომ ეს რტო, რომელიც ღვთაებრივი მადლით ბრწყინავდა, მის საფლავთან უნდა მიეტანათ. ღვთისმშობელმა სამოთხის რტო სიხარულით მიიღო. ყოვლადწმინდა მარიამი მიძინებისთვის ემზადებოდა და ამის შესახებ უპირველეს ყოვლისა იოანე ღვთისმეტყველს ამცნო. მიმადლებულმა მარიამმა ითხოვა, რომ სიხარული ცრემლით არ დაემძიმებინათ, არამედ მასთან ერთად გაეხარათ: "მივდივარ ჩემს ძესთან და უფალთან, ჩემს სხეულს გეთსიმანიაში გადაიტანთ, იქ დაკრძალავთ და თქვენზედ დაკისრებულ ქადაგებას განაგრძობთ, ხოლო, თუკი უფალი ინებებს, მიძინების შემდეგ ისევ მიხილავთ". ამ დროს აქ იყვნენ პავლე მოციქული და მისი მოწაფეები: დიონისე არეოპაგელი, იეროთეოსი, ტიმოთე და სხვანი — სამოცდაათთაგანნი. უფალმა შეკრიბა ისინი და აღირსა ენახათ ღვთისმშობელი, მისგან კურთხევა მიეღოთ და დაკრძალვას დასწრებოდნენ. ყოვლადწმინდა ქალწული ყველას თავისთან უხმობდა, სახელებს ეძახდა, ყველას ეალერსებოდა რწმენისა და იმ შრომისათვის ქრისტეს ქადაგებისას რომ გასწიეს. ანუგეშებდა და აიმედებდა, რომ ობლად არ მიატოვებდა ქვეყანას და შეისმენდა ყველას ლოცვას — ვინც კი მას მიმართავდა.

ანგელოსის გამოცხადებიდან მესამე დღე დადგა. ახლოვდებოდა დღის სამი საათი, დრო, როდესაც მიძინება იყო ნაწინასწარმეტყველები. სახლში სანთლები ენთო, ღვთისმშობლის სარეცელს გარშემორტყმული მოციქულები უფალს ადიდებდნენ, იგი მხურვალედ ლოცულობდა. მოულოდნელად სახლის ჭერი განიღო, ღვთაებრივი დიდების ნათელმა იქ მყოფნი განაბრწყინა, ყველა შეძრწუნდა, ზეციური ნათლის სხივებმა ყოველი მიწიერი დააბნელა.

ციურ ძალთა დასებით გარშემორტყმული მეუფე დიდებისა — თვით ქრისტე მოევლინა ყოვლადწმინდა დედას. თავისი ძისა და ღმერთის სხივცისკროვნებით გახარებულმა მან წარმოსთქვა სიტყვები ღვთივსულიერი საგალობელისა: "ადიდებს სული ჩემი უფალსა და განიხარა სულმან ჩემმან ღვთისა მიმართ მაცხოვრისა ჩემისა". — სარეცელიდან წამოიწია, თაყვანი სცა უფალს და ესმა ღვთაებრივი მოწოდება: "მოვედ, მოკეთეო ჩემო, მოვედ ჩემგან შევკვრებულო და დაიმკვიდრე სავანე მარადიული ცხოვრებისა". ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა გაიმეორა თავისი ლოცვა: "მიიღე სული ჩემი მშვიდობით და მიცევ მე არესაგან ბნელისა".

უფალმა დაამშვიდა იგი: ბნელი ძალა გველისა დათრგუნულია და თვით მოუწოდებს მას, რათა მიწიერიდან ზეციურ ცხოვრებაში თამამად გადავიდეს. მარადის ქალწულმა სიხარულით შესძახა: "მზა არს გული ჩემი, ღმერთო, მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა". ის კვლავ სარეცელზე მიწვა და სული თვისი ძის ხელს გადასცა.

ტკივილების გარეშე შვა იგი და მანაც სხეულიდან მისი სული ყოველგვარი ტკივილის გარეშე განუტევა — წმინდა სხეული განხრწნისაგან დაიცვა. მაშინ გაისმა ანგელოსთა გალობა: "გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის!" და ღვთისმშობლის სული უფლის ხელით, ზეიმითა და ზეციური ძალების თანხლებით ავიდა ცათა სასუფეველში.

მოციქულები, რომლებიც ღირს იქმნენ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ზეცად აღსვლა ეხილათ, ირთოლვით იდგნენ და ცას შესცქეროდნენ, როგორც ოდესღაც უმზერდნენ ამაღლებულ უფალს. ყოველივე მიწიერი დავიწყებოდათ — საკუთარი თავიც კი. როდესაც გონს მოეგნენ, შეხედეს ყოვლადწმინდა სხეულს და დაინახეს, რომ მისი სახე ზეციური ნათლით ბრწყინავდა, მისგან საოცარი კეთილსურნელება გამოდიოდა. მოციქულთა დასმა სიყვარულით უგალობა მას: "ზეციურსა სავანესა შინა ძისა შენისასა შეწყნარებული ყოველ ჟამ ხარ ღვთისმშობელო, შეწევნად ერისა შენისა." და ცის სიმაღლიდან მოისმა ღვთისმშობლის ხმა, რომელიც კადნიერად მიმართავდა თავის ძესა და უფალს: "შენნი ჩემდა მოცემულნი საუკუნოდ დაიცევ".

ყველა იქ მყოფი ღვთისმოშიშებით

თაყვანს სცემდა ყოვლადწმინდა სხეულს. მის სარეცელზე შეხებით ყველა ჭირვეული კურნებას იღებდა და მთავარანგელოზის გალობით განადიდებდნენ მას; "გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანა".

წმინდა მოციქულები მისი დაკრძალვისთვის ემზადებოდნენ, თუმცა ამქვეყნიურ განშორებას გლოვობდნენ, მაგრამ ნუგეშს სცემდათ ის აზრი, რომ ზეცაში ღვთის წინაშე მეოხი და მლოცველი მოიპოვეს. პეტრეს, პავლეს, იაკობსა და სხვა მოციქულებს საკუთარი მხრებით მიჰქონდათ მისი სხეული. იოანე ღვთისმეტყველი — სამოთხის სხივმფენი რტოთი — წინ უძღოდა მათ. დანარჩენი მორწმუნენი და ხალხის სიმრავლე მის სარეცელს საცეცხლურებით და ანთებული სანთლებით მიაცილებდნენ — სიონიდან გეთსიმანიამდე გალობით მიდიოდნენ;

მსვლელობის პროცესში — თვით დაკრძალვამდე სხივცისკროვანი გვირგვინის მსგავსი ღრუბელი ზემოდან დასცქეროდა ღვთისმშობლის სხეულს და პროცესიის მონაწილეებს. ციდან ანგელოზთა გალობა ისმოდა. ბევრმა ურწმუნო იუდეველმა მოისმინა არაჩვეულებრივი ხმები, ნახა საზეიმო მსვლელობა და ეს ამბავი მღვდელთმთავრებსა და მოხუცებულებს აცნობა. ისინი ბრაზითა და შურით აღივსნენ, როდესაც ნახეს, როგორი პატივით მიაცილებდნენ მათ მიერ ჯვარცმულ იესოს დედას.

იუდეველთა წინამძღოლებმა ხალხის გასაფანტად მეომართა რაზმი გაგზავნეს. უბრძანეს, მოციქულები დაეხოცათ, ღვთისმშობლის სხეული კი დაეწვათ. მაგრამ ღვთაებრივმა ძალამ არ დაუშვა ეს ბოროტმოქმედება.

სხივცისკროვანი ღრუბლის გვირგვინი ძირს დაეშვა და პროცესიას გალავანივით გარს შემოერტყა. მდევარს გალობისა და ნაბიჯების ხმა ესმოდა, მაგრამ სიბრმავით მოცული ვერაფერს ხედავდა. სიმჭიდროვისგან ბევრმა მათგანმა ქალაქის გალავანთან თავი გაიტეხა, სხვებმა გზა დაკარგეს და გამყოლებს ეძებდნენ. განსაკუთრებული კადნიერებით

ერთი იუდეველი მღვდელი, ათონია იქცეოდა. მან საშინელი ღვთისსაგმობი სიტყვები იკადრა ღვთისმშობლის სარეცელთან და მისი ძე, უფალი იესო ქრისტე აუგად მოიხსენია. ძველი შურითა და მტრობით გულადუღებული სარეცელს მივარდა, რათა ყოვლადწმინდა ცხედარი ძირს გადმოეგდო, მაგრამ როგორც კი ოდნავ შეეხო, ღვთის რისხვის მახვილით უფლის ანგელოსმა ორივე ხელი წარჰკვეთა. მოკვეთილი ხელები სარეცელზე დაცვივდა, თვითონ კი საშინელი გოდებით ძირს დავარდა. საზარელმა სასჯელმა გონს მოიყვანა იგი. დანაშაული იგრძნო და მოციქულებს მიმართა: "შემიწყალეთ მე, მონანო ქრისტესნო!" პეტრე მოციქულმა მსვლელობა შეაჩერა და ათონიას უთხრა: "შენი განკურნება ჩვენ არ ძალგვიძს, ყველაფერი მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც თქვენს ჯვარს აცვით: უფალი ჩვენი იესო ქრისტე, მაგრამ არც ის განკურნავს, სანამ მთელი გულით არ ირწმუნებ და ბაგითაც არ აღიარებ, რომ იესო ჭეშმარიტი მესია და ძე ღვთისაა". მაშინ ათონიამ ხმამაღლა წარმოსთქვა: "მრწამს, რომ ქრისტეა აღთქმული მესია და ქვეყნის მხსნელი." მოციქულები და მორწმუნეები დაღუპული სულის ხსნამ მეტად გაახარა.

პეტრე მოციქულმა ათონიას უბრძანა, რწმენით მიემართა ღვთისმშობლისათვის და მკლავები სარეცელზე დაყრილი მოჭრილი ხელებისთვის მიედო. ხელები მაშინვე გამთელდა და ათონია გამოჯანსაღდა. იდაყვების გასწვრივ მხოლოდ ძაფივით წვრილი წითელი ზოლები შერჩა. ათონია სარეცელის წინაშე დაემხო და თაყვანი სცა უფალ იესოს და მის ყოვლადწმინდა დედას, აქო და ადიდა იგი და მოციქულებს თან გაჰყვა.

ბევრმა იუდეველმა, როდესაც ამ სასწაულის შესახებ შეიტყო, შეინანა და ღვთისმშობლის სარეცელს მიემთხვია, ისინი განიკურნენ და მხედველობაც დაუბრუნდათ. ადამიანთა მოდგმის გულმოწყალე დედამ, როგორც შობით მიანიჭა სიხარული მთელ ქვეყანას, არ ისურვა, რომ თავისი მიძინებით ვინმე დაემწუხრებინა, იგი ყველას შეიწყნარებდა და მტერსაც კი სასოებას აძლევდა.

გეთსიმანიის ბაღში მოციქულებმა გამოქვაბულის შესასვლელი ქვით დაფარეს. დაკრძალვის შემდეგ ამ ადგილს კარგა ხანს არ განშორებიან. სამი დღის განმავლობაში აქ ლოცვასა და საგალობელს აღუვლენდნენ ღვთისმშობელს. ამ დროს ანგელოზები ზეციური გალობით განადიდებდნენ უფალს და ყოვლადწმინდა ქალწულს.

მოციქულ თომას წილად ხვდა, რომ ღვთისმშობლის აღდგომის გაცხადების მონაწილე ყოფილიყო. ისევე, როგორც ოდესღაც თავისი ეჭვით ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტება დაამოწმა. ღვთის ნებით, იგი ღვთისმშობლის დაკრძალვიდან მესამე დღეს მოვიდა გეთსიმანიაში. ღრმა მწუხარებით აღვსილი გოდებით მიეახლა აკლდამას და

*დასასრული მე-5 გვ.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში

კასპის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მიმდინარეობს სამუშაოები:

სოფელ ნიაბში, წმინდა გიორგის ეკლესიასთან მდებარე სასაფლაოსთან მისასვლელი გზის გაფართოება-მოხრეშვის სამუშაოებს შპს "კასპის კეთილმოწყობა" ასრულებს. სამუშაოების შესრულებაზე 8 551 ლარი დაიხარჯება.

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ აღაიანში, სპორტული დარბაზის შენობის სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. გაკეთდა მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯარა, დარბაზში, ჰოლსა და ოთახებში მოეწყობა შეკიდული ჭერი და ჩატარდება სამღებრო სამუშაოები. მალე აღაიანელი სპორტსმენები და ახალგაზრდები ახალი სპორტული დარბაზით ისარგებლებენ. სამუშაოების შესრულებაზე 34 610 ლარი იხარჯება, რომელსაც შპს "იო" ასრულებს.

დარბაზის ნაწილობრივი სამუშაოები, გასულ წელს აღნიშნული პროგრამით შესრულდა, წელს კი დარჩენილ სამუშაოებს ვაგრძელებთ, - აღნიშნა გოჩა გოჩიტაშვილმა, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ საქადაგიანოში, სვანების ქვედა დასახლებაში სარიტუალო მომსახურების სახლის სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც გასულ წელს დაიწყო და მიმდინარე წელს დასრულდება.

შენობაში შეიცვალა კარ-ფანჯრები, ელექტრო გაყვანილობა, გაილესა კედლები, რომლებიც შეიღებება. იატაკზე დაიგება მეთლახი, გადაიხურება შესასვლელი და მოეწყობა ახალი საფეხურები. სამუშაოებზე 10 780 ლარია გამოყოფილი.

სარიტუალო მომსახურების სახლის რეაბილიტაცია, ადგილობრივი მოსახლეობის საერთო კრების გადაწყვეტილებით დაიწყო და მიმდინარე სამუშაოებით ისინი კმაყოფილები არიან. სარეაბილიტაციო სამუშაოებს შპს "პაპიკო" ახორციელებს.

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ იგოეთში, ზაალიშვილების, ხუციშვილების და ჩადუნელების უბნებში სასმელი წყლის სისტემის და შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

შიდა დაქსელვის გარდა გაკეთდება საავტომობილო კარები და ჭიშკარი, შემოიღობება სატუმბი სადგური და 100 ტონიანი რეზერვუარი, რომელიც გასულ წელს მოეწყო. სამუშაოებს შპს "ბამა" ახორციელებს და მასზე 31 510 ლარი დაიხარჯება.

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომში შიდა საუბნო გზების მოხრეშვის სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოებს შპს "კასპის კეთილმოწყობა" ახორციელებს და მასზე 20 167 ლარი დაიხარჯება.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ბავშვობაში ნათქვამი "ფრთიანი ფრაზები" მთელი ცხოვრება ალამაზებენ მოგონებებს, ისინი დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ "ოქროს ფონდში," თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაური თავყრილობის მთავარი სახალისო სავმბობნი ხდებიან.

შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო ნუთები ჩვენს რუბრიკაში "მაკნატუნა" და გახდით სასურველი სტუმარი.

მკითხველს შეუძლია მოგვწოდოს საავტორო კროსვორდები, შემეცნებით-გასართობი მასალები. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე - კასპი, საკაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 03712 22576.

,,ახალი გზა,, იძებს ადამიანებს ადამიანური ამბებით ჩვენი ადგილობრივი ფოტო-მასალის შეგროვებლად. თუ თქვენ მიგვმართავთ თანამოსაუბრეებს - ლაფუთი ოჯახი ყველა ჩვენს მასალაში! გამოგვგზავნეთ ადამიანური ლა ადამიანური ფოტოები!

გამოიწერეთ "ახალი გზა" და გახდით ჩვენი მკითხველი!

გზების მოწყობის სამუშაოები მიკრორაიონის დასახლებაში

ქალაქ კასპში, მიკრორაიონის დასახლებაში, მირიან მეფის ქუჩის რეაბილიტაცია - მოასფალტების და შიდა კვარტალური გზების მოწყობის სამუშაოები დაიწყო.

ამჟამად გზის მოსამზადებელი - აფრეზვის და მოსწორების სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტი ითვალისწინებს რკინა-ბეტონის კიუვეტების, დრენაჟის, სათვალთვალო ჭის, საგზაო სამოსის, ეზოში შესასვლელების, მიერთებების, შიდა კვარტალური ეზოების და ტროტუარების მოწყობას.

სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "საგზაო სამშენებლო სამმართველო №1" ასრულებს. პროექტი 2015 წლის ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება და მასზე 795 000 ლარი დაიხარჯება. მიკრორაიონი კასპში ერთ-ერთი დიდი, მრავალსართულიანი კორპუსებით დასახლებული უბანია, სადაც ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ მოსახლეობას მისასვლელი გზის პრობლემა აწუხებდა. წელს ეს პრობლემა მოწესრიგდება და მოსახლეობას კეთილმოწყობილი გზით სარგებლობა მოუწევს - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ თეიმურაზ ხიზანიშვილმა.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ალექსანდრე და მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანების იკონოგრაფიისათვის

ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმს მალე დაარსებიდან 30 წელი შეუსრულდება. სასახლის ბინადართა ცხოვრება და მოღვაწეობა ჩვენი ქვეყნის ისტორიის განუყოფელი ნაწილია.

სასახლე ეკუთვნოდათ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში კარგად ცნობილ საზოგადო მოღვაწე ცოლ-ქმარს ალექსანდრე და მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანებს. ისინი ბაგრატიონთა გვარის შთამომავლები იყვნენ. მიღებული ჰქონდათ არისტოკრატიული წრის შესაფერი აღზრდა-განათლება და სიცოცხლის მანძილზე ეროვნულ საქმეს ემსახურებოდნენ.

მდიდარი საარქივო მასალები გვიდასტურებს, რომ ალექსანდრე და მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანებმა დიდი ამაგი დასდეს: ქართულ ვაჟთა სათავადაზნაურო და პირველ ქართულ ქალთა სკოლებს; წმ. ნინოს სასწავლებელს; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას; სკოლებს ატენსა (გორის რ-ნი) და ლამისყანაში; ჰყავდათ სტიპენდიანტები ქართულ ვაჟთა სკოლაში; საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში; იყვნენ ბოლომდე უოლატო თანამდგომნი ივანე ჯავახიშვილისა ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში და სხვაც მრავალი სასიკეთო საქმე უკეთებიათ...

ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი

ბევრი საინტერესო პიროვნების ფოტო შემოგვინახა ორბელიანთა საოჯახო ალბომმა. როგორც ცნობილია, მეფე ერეკლე მეორისა და დარეჯან დედოფლის უმცროს ასულს, მეფის მიერ "თეკლა ბიჭად" წოდებულ თეკლა ბატონიშვილსა და ვახტანგ დიმიტრის ძე ჯამბაკურ ორბელიანს სამი ვაჟი ჰყავდათ: ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგი (მამა მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანისა). სამივე ცნობილი საზოგადო მოღვაწე, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე გახლდათ. ამჯერად შუათანა ვაჟზე შევჩერდებით.

დიმიტრი ჯამბაკურ-ორბელიანი (1808-1882) თავის დროზე იყო თბილისის თავადაზნაურობის წინამძღოლი, მარშალი, გენერალ-ლეიტენანტი. ცოლად ჰყავდა მარიამ ივანეს ასული ორბელიანი. ცოლ-ქმარს ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდათ – ელისაბედ (ლიზა) ჯამბაკურ-ორბელიანი.

დიმიტრი ორბელიანის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ცნობილი ფრანგი მწერალი და მოგზაური ალექსანდრე დიუმა (1803-1870).

როგორც ცნობილია, დიუმა საქართველოში ჩამოვიდა 1858 წლის ბოლოს. თბილისში ყოფნისას იგი საფრანგეთის მაშინდელ ელჩთან, ბარონ ფინოსთან ერთად, ოჯახში ესტუმრა დიმიტრი ორბელიანს.

აი, რას წერს ამის შესახებ ალექსანდრე დიუმა წიგნში "კავკასია": "წარმოშობით ორბელიანები "წმინდა იმპერიის" თავადები არ არიან. ისინი "უმაღლესი იმპერიის" წარმომადგენლები გახლავთ... თავადმა დიმიტრი ორბელიანმა იცის გველების მომაჯადოებელი ლოცვა და ფლობს იმ ცნობილ ქვას, ანუ უკეთ თილისმას, რომელიც სარწმუნოს ხდის იგავს სასწაულმოქმედ ინდურ ბეზუარზე.


დიმიტრი ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანი

ეს ქვა მას ერგო საქართველოს მეფის ერეკლესაგან, რომლის ქალიც დედამისი იყო, ეს ძვირფასი მემკვიდრეობაა, რომლითაც თავადს ბევრი გადაურჩენია სიკვდილისაგან.

თავადი ორბელიანის მეუღლე ორმოცი წლის მანდილოსანი იქნება. ის უნდა ყოფილიყო თბილისის ულამაზესი ქალი... ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს სხვა წარჩინებული მანდილოსანი, რომელსაც ესოდენ მედიდური გარეგნობა ჰქონდეს. თუ თქვენ თავად ორბელიანის მეუღლეს ქუჩაში პირისპირ შეხვდით, რომ არ იცნობდეთ კიდეც, უსათუოდ მოწიწებით თავს დაუკრავთ, ისეთი პატივისცემით იმსჭვალება მნახველი მისდამი. თავადის მეუღლე დედაა თბილისის ერთ-ერთი ულამაზესი, სიცოცხლით სავსე, გონებამახვილი და ახალგაზრდა ქალის ქალბატონ დავიდოვ-გრამონისა.

ამ მშვენიერ თავადურ ოჯახში ერთი პატარა გოგონა დარბოდა, რომელსაც ისე ექცეოდნენ, როგორც თავისიანს".

დიუმა დაინტერესებულა ბავშვის ვინაობით და ფინოსთვის უთხოვია, ეამბნა, რაც იცოდა.

ელჩი შემდეგს მოუყვა მწერალს: "ამ ბავშვის დედა, როცა მასზე ფეხმძიმედ იყო, და ბებია, სამოცდაათი

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი

წლის მოხუცი ქალი, ლეკებმა მოიტაცეს. მთელი ოჯახი დატრიალდა და ვაი-ვაგლახით შეაგროვეს შამილისაგან გამოსასყიდად დანიშნული თანხა. დედა ტყვეობაში მოლოგინებულიყო და როცა ქალები სამშობლოში დაბრუნდნენ, თან მოჰყავდათ ოთხი თვის ბავშვი... გზაში გარდაიცვალა მოხუცი, რომელმაც სიკვდილის წინ ქალს სთხოვა, ჩემს გვამს მტრის ქვეყანაში ნუ დატოვებთო. ქალი ფიქრობდა, რაკი დედა ცოცხალი იყო გამოსყიდული, მის ცხედარსაც ადვილად წაიღებდა, მაგრამ მთიელები სხვანაირად მსჯელობდნენ და მოხუცის გვამი ექვსას მანეთად შეაფასეს. არავითარმა მუდარამ და ხვეწნამ არ გაჭრა... ქალს გამოუცხადეს, რომ მხოლოდ იმ პირობით დაანებებდნენ დედის გვამს, თუ შვილს დაუტოვებდნენ მძევლად. დედამ ტირილითა და ვაი-ვიშით დატოვა შვილი და თბილისში დაბრუნდა. დამარხა დედა წმინდა მიწაში, როგორც ეს მოხუც ქალს უნდოდა. და რადგანაც მისი ოჯახი მთლიანად გაღარიბდა მათი გამოსყიდვის შემდეგ, ძაძები ჩაიცვა და კარიდან კარზე დაიწყო სიარული მოწყალების სათხოვნად, ერთ კვირაში ექვსასი მანეთი შეაგროვა და ერთი წუთითაც კი არ დაუყოვნებია, ისე მივიდა ფეხით იმ სოფელში, სადაც ბავშვი ჰყავდა დატოვებული. როგორც კი მივიდა, ძლიერი სულიერი ელდითა და ფიზიკური დაღლილობით დაძაბუნებული ქალი დაეცა და აღარც ამდგარა. საცოდავი მესამე დღეს გარდაიცვალა... ეს არის ის პატარა ობოლი, რომელიც თავადმა ორბელიანმა იშვილა."

მარიამ ივანეს ასული ორბელიანი

ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმში დაცულია ახალგაზრდა ქალის ფოტო, რომელზეც მარიამ ორბელიანის ხელით გაკეთებულია შემდეგი წარწერა: "თებრო არჯევანიძე (მღვდლის ქალი, რომელსაც შამილმა, როცა კახეთს შემოიჭრა, მთელი ოჯახი ამოუწყვიტა), რომელიც ბიძაჩემმა დიმიტრიმ გამოისყიდა ტყვეობიდან და შემდეგ იშვილა, რამაც უსიამოვნება გამოიწვია ზოგიერთ ორბელიანში მილიონერი ნარიშკინის ცოლი გახდა".

როგორც ვხედავთ, ის პატარა გოგონა ალექსანდრე დიუმას დიმიტრი ორბელიანის ოჯახში რომ უნახავს, თებრო არჯევანიძე ყოფილა. მეორე ფოტოზე მას თავის მილიონერ მეუღლესთან ერთად ვხედავთ (ობლის კვერი არც ისე გვიან გამომცხვარა).

1859 წლის ახალ წელს ალექსანდრე დიუმა, თბილისის მაღალ საზოგადოებასთან ერთად, მეფისნაცვალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკის კარზე შეხვდა.

თებრო ნარიშკინა ქმრით

საახალწლო დღესასწაულის აღწერისას ზემოთხსენებულ წიგნში დიუმა დიმიტრი ორბელიანის ასულის შესახებ წერს: "დავიდოვის მეუღლე არის პაწაწინა მომხიბლავი ორბელიანის ქალი. როცა ამ პატარა, ჰაეროვან ბრწყინვალე ახალგაზრდა ქალს უყურებ, ფიქრობ, კოლიბრის (პაწაწინა ფრინველი) ბუდე ჰქონია აკვნადო".

დიახ, მაშინ, როცა ფრანგი მწერალი თბილისში იმყოფებოდა, დიმიტრი ორბელიანის ასული ლიზა ორბელიანი მეუღლე იყო მეფისნაცვალ ბარიატინსკის ადიუტანტის, პოლკოვნიკ დავიდოვ-გრამონისა. მაგრამ ეს მაშინ. არც თუ დიდი ხნის შემდეგ ლიზა ორბელიანი გაშორდა ქმარს და ცოლად გაჰყვა ალექსანდრე ბარიატინსკის, რომელსაც იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ (1855-1881), როგორც მეგობარს, პოლონეთში, ვარშავის ახლოს მდებარე სკვერნევიცის მამულები აჩუქა.

მალე ლიზა და ალექსანდრე ბარიატინსკებმა ბინა სკვერნევიცის სასახლეში დაიდეს.

1875 წელს მარიამ და ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანები და ალექსანდრეს დედა ნინო ერისთავი-ორბელიანისა (რომელმაც ლამისყანის სასახლე მამისგან მემკვიდრეობით მიიღო) გაემგზავრნენ ვარშავაში. იქ მათ

*დასასრული მე-5 გვ.

მზე ხარ გაბრწყინებული

*დასასრული

მოთქმით გამოხატა გულისტკივილი, რომ ღირსი არ გახდა, უკანასკნელად ეხილა დედა ღვთისა და მისგან კურთხევა მიეღო.

წმინდა მოციქულებმა, გულწრფელი სიბრალულის გამო, გადაწყვიტეს საფლავის ქვა გადაეგორებინათ და თომასთვის საშუალება მიეცათ, ეხილა ღვთისმშობლის წმინდა გვამი და თაყვანი ეცა მისთვის. მაგრამ ქვის გადაგორებისთანავე ნახეს, რომ აკლდამაში მხოლოდ სუდარები დარჩენილიყო და მათგან გამოუთქმელი სურნელება გამოდიოდა. პატიოსანი გვამი მისი აღარსად იყო. ისინი განცვიფრდნენ და გაოგნდნენ. ღვთისმოსაობით ეამბორებოდნენ საფლავში დარჩენილ მანტიას და ევედრებოდნენ უფალს ამ დიდებული სასწაულის საიდუმლო გამოეცხადებინა მათთვის. იმავე საღამოს თვით ზეციურმა დედოფალმა დაამშვიდა ისინი.

ქრისტეს აღდგომის შემდეგ, ქრისტიანთა ტრაპეზზე, უპირველესი ადგილი თავისუფალი რჩებოდა, ამ ადგილას ყოველთვის იყო პურის ნაჭერი, როგორც "წილი უფლისა" — ქრისტეს პატივსაცემად და მოსახსენებელად. ტრაპეზის შემდეგ ყველა სათითაოდ იღებდა ამ პურს, ყოვლადწმინდა სამების სახელს მოიხმობდა და ლოცვას ამგვარად ამთავრებდა: "უფალო, იესო ქრისტე, შეგვეწიენ ჩვენ". ამის შემდეგ "ქრისტეს წილს" დაანაწილებდნენ და იხმევდნენ მას, როგორც უფლისმიერ კურთხევას. მოციქულები ამ წესს ყოველთვის ასრულებდნენ, მიუხედავად იმისა, მარტო ტრაპეზობდნენ ისინი თუ — სხვებთან ერთად. ამგვარად მოიქცნენ საღამოს ტრაპეზზე — გეთსიმანიიდან დაბრუნების შემდეგ, ისინი სულ ღვთისმშობელზე ფიქრობდნენ და საუბრობდნენ, ვერ გაეგოთ, თუ რა დაემართა მის პატიოსან გვამს. ტრაპეზის ბოლოს, როდესაც "ქრისტეს წილი" აიღეს და ყოვლადწმინდა სამებას განადიდებდნენ, უცებ ანგელოსთა გალობა გაისმა და ცის სივრცეში ყოვლადწმინდა ქალწული იხილეს, მან ზეციური ძალებით გარშემორტყმულმა და გამოუთქმელი დიდებით გაბრწყინებულმა, მიმართა მოციქულებს: "გიხაროდენ, მე თქუენ თანა ვარ ყოველსა ჟამსა."

გახარებულმა მოციქულებმა და იქ მყოფმა მორწმუნეებმა ერთად შესძახეს: "ყოვლადწმინდაო ღვთისმშობელო, შეგვეწიენ ჩვენ". ამგვარად წმინდა მოციქულები დარწმუნდნენ და მთელ ეკლესიას გადასცეს ურყევი რწმენა იმისა, რომ დედა ღვთისა თავისმა ძემ და ღმერთმა მესამე დღეს მკვდრეთით აღადგინა და ხორცით აღამაღლა ზეცაში.

მოციქულებმა მწუხარეთა ნუგეშისსაცემად და იქ არმყოფთა დასარწმუნებლად საფლავში დარჩენილი მანტია აიღეს, იერუსალიმში დაბრუნდნენ და ძალიან მალე სახარების საქადაგებლად ქვეყნიერების სხვადასხვა მხარეში კვლავ გამოჩნდნენ.

ღვთისმშობლის აღსასრულს ეკლესია მიძინებას უწოდებს, რადგან მან სულ ცოტა ხნით მიიძინა და როგორც ძილისაგან — აღსდგა. ღვთისმშობელმა ბუნების კანონებს სძლია.

ალექსანდრე და მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანების იკონოგრაფიისათვის

*დასასრული

დახვდათ მარიამის ბიძა დიმიტრი, რომელმაც ისინი სკვერნევიცის სასახლეში წაიყვანა. ცოლ-ქმარი ბარიატინსკები თბილად დახვდნენ სტუმრებს. ლიზა სიხარულისაგან ტიროდა. მარიამს ბავშვო-

ელისაბედ დიმიტრის ასული ორბელიანი-ბარიატინსკაია (1838-1899)

ბიდან აღარ ენახა თავისზე ბევრად უფროსი ბიძაშვილი და თითქმის აღარც იცნობდა მას, მაგრამ მაშინვე დაახლოვდნენ. ლიზამ მარიამს გამოჰკითხა ყველა ნათესავისა და მეგობრის ამბავი, ვინც საქართველოში დატოვა და ვისი ნახვის იმედიც სამუდამოდ დაჰკარგოდა. "როცა ის ლაპარაკობდა, ეტყობოდა საშინლად ნაღვლობდა ყველა იმ წარსულისათვის, რომლის უკან დაბრუნება ყოვლად შეუძლებელი იყო... სრულებით

ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი მეფისნაცვალი კავკასიაში (1856-1961)

გულგრილად უცქეროდა იმ ფუფუნებას, რომელიც მას თავს ეხვია" — წერს მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი თავის "მოგონებებში". ლიზა ბარიატინსკაიას შთამომავლობა არ დარჩენია. საკუთარი მემკვიდრეობა მან უანდერძა ბიძაშვილებს: ნიკოლოზ ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანს (ივანე ჯავახიშვილის სიმამრი) და დარია ჯამბაკურ-ორბელიანის ვაჟს — ევგენი ქობულაშვილს. თვითონ ალექსანდრე ბარიატინსკიმ სიცოცხლეშივე, 1871 წელს, მემკვიდრეობა უბოძა ნიკოლოზ ჯამბაკურ-ორბელიანს: ორას ოთხმოცდახუთი სხვადასხვა დასახელების ნივთი.

და მაინც, ნაღველს თავი ვერ დააღწია "მომხიბლავმა ორბელიანის ქალმა." სამშობლოდან შორს, სულიერად დაავადებული, 61 წლისა გარდაიცვალა ერთ დროს პირველი ბანოვანი ელისაბედ (ლიზა) ჯამბაკურ-ორბელიანი.

გარდა ამ ისტორიისა, ბევრ სხვა საინტერესო თავგადასავალს ინახავს ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმში დაცული უნიკალური ფოტოკოლექცია.

სოფიო ცუცუნაშვილი, ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმის დირექტორი.

თვალხილული სასწაული

ქრისტეს 12 მოციქულის ხატება

2002 წელს მრევლი სასწაულის მოწმე გახდა.

ათის ნახევარზე წირვა იწყება და მომლოცველები მტკვარზე დილის 9 საათზე გადადიოდნენ. სწორედ ეს მომენტია წარმოდგენილ ფოტოზე აღბეჭდილი.

ურწმუნომ შეიძლება იფიქროს, რომ სურათზე გამოსახული განათებული დისკო და სხივები მზის ნათებაა, მაგრამ ამ ვერსიას იქ მყოფები გამორიცხავენ, ამ ადგილებში მზე 2 საათამდე არ ჩანს. ტაძარს აღმოსავლეთიდან ჯავახეთის მაღალი მთები ეფარება. ცხადია, მთები დილის მზის სხივებს ფარავს. ფოტოს კომპიუტერზე შესწავლისას მეტი გამოჩნდა, ვიდრე შეუიარაღებელი თვალით შეიძლება დავინახოთ.

ფერად ფოტოზე სხივები სპექტრადაა დაშლილი და მასში ქრისტეს 12 მოციქულის ხატება ჩანს. საკამათოა ვინ არის გამოსახული დისკოს შუაგულში. ზოგი ფიქრობს, რომ იოანე ნათლისმცემელია, რადგან კონფიგურაციით მამაკაცის სხეულს ამსგავსებენ.

როგორც გვითხრეს, ცისარტყელა, შარავანდედი ანუ სპექტრი, ქრისტიანული წესით მეგობრობის ნიშანია. წარღვნის შემდეგ ღმერთმა კაცობრიობას სანუგეშოდ ცისარტყელა მოუვლინა. როგორც ჩანს წმინდა ადგილზე მოსალოცად მისულებს მდინარეზე გადასვლისას ღმერთი თანადგომას უცხადებდა.

უფლის ნების გარეშე არაფერი ხდება, დანარჩენი კი თქვენმა რწმენამ დაგანახოთ.

გამოგვიხმაურეთ

გახდით ჩვენი მკითხველი!

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო, ფოტო მასალა თუ გაგვიმხილოთ საკუთარი ემოცია, შთაბეჭდილება.

მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიისათვის, მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით „შეუცნობელი."

საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ ჟურნალ „ფენომენს„ და შესაბამისად ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებებსა თუ კომენტარებს.

ჩვენ თქვენთან ერთად შევეცდებით გავარკვიოთ ტყუილ-მართალი. კითხვები ხომ იმისთვის არსებობს რომ პასუხის მოძიებისას გავიგოთ მეტი. ყველა მინიშნების უკან შეიძლება იმალებოდეს პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე, მოვლენებზე.

გახდით ჩვენი მკითხველი!
გამოგვიხმაურეთ

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲝᲑᲐᲡ!

ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲗ, ᲛᲝᲬᲘᲬᲔᲑᲘᲗ, ᲪᲘᲪᲮᲚᲘᲗ

ჩვენს ფეისბუკ ეპოქაში სახეცვლილი ეპისტოლარული ჟანრი მოკლე შეტყობინებებმა ჩაანაცვლა თუმცა, როგორც აღმოჩნდა არსებობს გამონაკლისი. ექიმ-პედიატრს ქალბატონ მზია ჩხეიძეს პაციენტის მადლიერმა მამამ წერილი მისწერა. ამ ღირსეული ქალბატონის მიმართ ჩვენ არაერთგზის გამოგვითქვამს სიყვარული და, რა თქმა უნდა, ამჯერადაც ვუერთდებით გზავნილს.

"დიდი პატივისცემითა და მოწიწებით მოგესალმებით ქალბატონო მზია!

მე, ჩვენი რაიონის მკვიდრი, ყოფილი თქვენი პატარა პაციენტის მამა გახლავართ. თქვენთან ჩვენი პირველი, ალიონს მიახლოებული ზამთრის ღამის უდროო ვიზიტი, ჩემი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის მაშინდელი უეცარი გაუარესებით იყო გამოწვეული. თქვენ და თქვენი მეუღლე ბატონი კოლია, სასწრაფო დახმარების სამსახურის თანამშრომლების მსგავსად ამოქმედდით და თქვენივე მანქანით მაშინვე ჩვენი სახლისაკენ გამოემართეთ. თქვენი მაღალკვალიფიციური, თბილი და მზრუნველი მეცადინეობით ბავშვის მდგომარეობა მალევე გამოაკეთეთ.

ჩემი მომდევნო შვილების ჯანმრთელობის სრულყოფილებაც თქვენი უანგარო შრომისა და მაღალი პროფესიონალიზმის შედეგია. მე და ჩემი ოჯახის წევრებს მუდამ გვქონდა სურვილი, საზოგადოების წინაშე მადლობა გვეთქვა თქვენთვის, ჩვენი შვილების ჯანმრთელად აღზრდაში გაწეული დახმარებისათვის, მაგრამ ამის შესაძლებლობა არ მოგვეცა, ამიტომ გადავწყვიტე ჩვენი სურვილის რეალიზება, თქვენდამი მოძღვნილი საკუთარი პატარა ლექსით მომეხდინა. აქვე მინდა გითხრათ, რომ ჩემს ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებ, რადგან მივიჩნევ, რომ ეს ლექსი თავისი შინაარსით სხვათა აზრსაც უნდა გამოხატავდეს. ამ აზრის ლეგიტიმაციის საფუძველს ისევ თქვენი დამსახურებული სახელი და ავტორიტეტი ამყარებს. ამდენად კმაყოფილი დავრჩებოდი თუ ამ ლექსს თქვენგან დავალებული და მადლიერი ხალხის ერთობლივ მოფერებად ჩათვლიდით. მადლობას გიხდით და ბედნიერ, ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებთ ქალბატონო მზია!

ამონარიდი მიძღვნიდან:

თქვენს დედობას და
ქალობას, ამბად იტყვის
არაკი,
ერისა და ქვეყნის მიმართ,
გიდევთ დიდი ამაგი.
ოჯახსა და სამსახურში,
გარჯა დიდი გაიღეთ,
ხალხის გულში სიყ-
ვარულის, მყარად ძეგლი
აიგეთ.
წესრიგი და პეწი იყო,
თქვენი სტილი ხელწერა,
ამიტომაც თქვენს საქმეებს,
წარმატება ეწერა.
მაღალ პროფესიონალიზმს,
ხვეწდით დარგის მიღწ-
ევით, პროფესიულ საფეხ-
ურის, დონეს მაღლა
იწევდით. სანიმუშო
ხელმძღვანელის, გქონდათ
ყველა თვისება,
პიროვნულ ცენზს, ავ-
ტორიტეტს, გიმაღლებდათ
ღირსება.
შეურცხვენლად გეცვათ
დღემდე, პედიატრის
ფარაჯა, დღესაც რჩებით
პატარების, ჯანის დაცვის
დარაჯად.
კოლორიტი ოჯახის და
წყვილის გქონდათ იმიჯი,
ჭაპანს სწევდით ღირსეუ-
ლად, ვერ გიშლიდათ
ხიმინჯი.
თქვენს ცხოვრებას წარ-
მატებულს, შემწედ ღმერ-
თი ჰყოლია...
საამაყო ნაშიერით, ყველა
გულში გიხუტებთ,
თქვენს ფუძეზე თქვენი
გენით. "კვიცი გვარზე
იხტუნებს".
თქვენს გაკვალულ ბილ-
იკებზე, წინსვლით
ევლოთ თაობებს,
იკა-ნუცა-ტასო-ნინცოს თუ
ლაზარე-თაკოებს!

თბილისი, დიდი დიღომი, IVმ/რ. X კორპუსი ბინა №20.

ᲓᲔᲓᲐ ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲚᲝᲪᲕᲣᲚᲝᲑᲡ

არეულ და მბრუნავ წუთისოფელში ყოველთვის გჭირდება ბრძენი მოძღვარი, ჭკვიანი დამრიგებელი, ერთგული მეგობარი და მოსიყვარულე მასწავლებელი. მადლობა უფალს, ასეთი აღმზრდელები ბევრნი იყვნენ და კვლავაც იქნებიან. მათ შორისაა გამორჩეული ქალბატონი, ჩინებული პედაგოგი, შესანიშნავი ისტორიკოსი იზოლდა შეშაბერიძე.

იგი ისტორიის სწავლებისას უდიდეს როლს ანიჭებდა მის ეროვნულ-აღმზრდელობით მნიშვნელობას. ეროვნული ცნობიერების გაღრმავებისთვის მოსწავლეებს გმირ წინაპართა სამაგალითო თავდადებას ახსენებდა და მათში აცნობიერებდა, რომ ერის ღირსებასა და ძლიერებას ღირსეული ადამიანები განაპირობებენ.

მართალია, უმძიმესია ტვირთი მამულიშვილობისა, მაგრამ ნეტარია ის, ვინც ბოლომდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ღირსეულად ატარებს მას. ქალბატონი იზოლდა თავის მოსწავლეებს წარსულიდან მომავლისაკენ ახედებდა, უძლიერებდა უმაღლესი ფასეულობებისა და ღირებულებებისადმი ერთგულებას. ასწავლიდა, რომ ქართველობამ თავისი არსებობა რწმენითა და ინტელექტით მოიტანა, ამიტომაც ცდილობდა, აღეზარდა მორწმუნე, განათლებული თაობა, იზოლდა მასწავლებელი ყმაწვილებს შთააგონებდა, რომ, ვისაც მხოლოდ რწმენა აქვს, ის მონაა ღვთისა, ხოლო, ვისაც რწმენასთან ერთად ცოდნა აქვს, ის მეგობარია უფლისა.

ხშირად ახსენებდა ჩვენი მარადიული მასწავლებლების – დიდი შოთა რუსთაველისა და უკვდავი დავით გურამიშვილის დარიგებას, რომ ეცხოვრათ ღვთის სადიდებლად, მარადიული ცხოვრების მოსაპოვებლად.

წარსულში გიამბობთ იზოლდა მასწავლებლის შესახებ, რადგან კარგახანია, მან დატოვა საერო ცხოვრება და აწ უკვე დედა მარიამი, უფლის სიყვარულით გულანთებული, მიუყვება მონაზვნური ცხოვრების ურთულეს გზას.

ეს მღელვარე სამყარო კი რჩეულთა ლოცვით დგას და დედა მარიამიც ატენის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში თავის სულიერ დებთან ერთად უფალს თვალცრემლიანი შესთხოვს საქართველოს გადარჩენასა და გამთლიანებას.

პატივცემულო მასწავლებლებო, ძვირფასო კოლეგებო, ქალბატონებო და ბატონებო, ალიონზე, გათენებისას, როცა ჯერ კიდევ ყველას ტკბილად გვძინავს, დედა მარიამი ლოცვას აღავლენს და ყოველი ჩვენგანისთვის ევედრება უფალს.

გვიხაროდეს! ჩვენ, ყველას, მლოცველი გვყავს ღვთის წინაშე.

ლალი ბარნოვი.

ᲥᲕᲔᲛᲝ ᲒᲝᲛᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲘᲓᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ



დასრულდა ქალაქ კასპსა და სოფელ ქვემო გომთან დამაკავშირებელი, მდინარე მტკვარზე მდებარე საფეხმავლო ხიდის რეკონსტრუქცია.

ხიდის სავალ ნაწილზე, ხის ფენების მაგიერ მოეწყო მეტალის ფენილი. განახლდა მოაჯირის დამცავი ბადის დაზიანებული ადგილები, ხოლო ლითონის კონსტრუქციები ანტიკოროზიული საღებავით შეიღება. სამუშაოები, რომლის ღირებულება 43 700 ლარია შპს "მოურავმა" განახორციელა. აღნიშნული ხიდი, სოფელ ქვემო გომის მოსახლეობას კასპთან უმოკლესი მანძილით აკავშირებს. ამდენად, მისი აღდგენა აუცილებელი იყო. მოსახლეობა კმაყოფილია ჩატარებული სამუშაოებით. როგორც ისინი განმარტავენ - გადაადგილების საშიშროება აღარ არსებობს.

ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ

ქალაქ კასპში №1, №2, №3, №4 და №5 საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის სამუშაოების პროექტის განხორციელება დაიწყო.

სამუშაოებს შპს "ფუძე" ახორციელებს, რომელმაც №3, №4 და №5 ბაღებში საკანალიზაციო და სახურავების მოწყობის სამუშაოები უკვე დაიწყო.

აღნიშნული ბაღების სარემონტო სამუშაოებზე 172 334 ლარი დაიხარჯება.

... თუ მშობლებს არ სწყალიათ

გასული წლიდან მოყოლებული სულ ვწდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სნორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სწყალიათ!) რომ გიამბონ. თქვენ ახლა უფრო ბევრი იწით ვიდრე შარშან და თუ ხშირად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე, წყალქვეშა სასახლეებსა და მალუდ საგანძურზე... ნინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოღონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოინეროთ გაზეთი "ახალი განთიადი"!

მაშ ასე, მოგრძანდით რედაქციაში! გაფორმეთ ხელმონერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს

,,კეხურა,,

ლეგენდარული მოჭიდავე – გიგლა რამაზაშვილი

ლამისყანა:

ეს სოფელი თავისი დიდებული ისტორიული წარსულით დღესაც აღელვებს ქართველი კაცის გულს. სხვადასხვა ეპოქაში ლამისყანელებს რამდენიმე ადგილზე გაუმართავთ საჭიდაოები: მდინარე ქსნის სანაპიროზე; ქვიშაზევე; არხის სატრიალოზე; კაკლის ქვეშ; ტატუნაშვილების უბანში; სკოლის შენობის ტერიტორიაზე; დღევანდელი "ბირჟის" ადგილზე; ხეხილნარის ბაღში (სადაც "გურამიშვილობის" დღესასწაულებს ჭიდაობაც ამშვენებდა); ამავე ბაღის ერთ კუთხეში, საიდანაც დიდწვიმიანობის გამო ჯამბაკურ-ორბელიანების სასახლე-მუზეუმთან გადაიტანეს... უფრო ადრე, ჯერაც მეორე მსოფლიო ომამდე – კიკოანთხევზე... დიახ, ამ არენებზე რომელ ლამისყანელ მოჭიდავეს არ დაუნთია ვაჟკაცური ცეცხლი: ლამისყანას მუდამჟამს ამშვენებდნენ ბეჭებფართო, მკერდძლიერი ფალავნები, ქსნის პირებზე მათ სახელად დღესაც ხარობს ხეხილის ბაღები და ვაზის ტალავრები...

ლამისყანური რამდენიმე გვარის წარმომადგენლები – რამაზაშვილები, ბალხამიშვილები, ბეინაშვილები, ნავროზაშვილები, ფალაშვილები, ფავლენიშვილები, თვაურები, ცუცუნაშვილები, ქართველიშვილები – სულაც მოჭიდავეთა ოჯახურ დინასტიებს ქმნიან.

✦ გიორგი (გოგლა) რამაზაშვილი (1900-1960 წლები) ის კაცი იყო, ვინც ლამისყანის ისტორიაში ერთი ფურცელი საკუთარ სახელზე შეავსო; ვინც ლეგენდასავით ამაღლდა, ლექსის სტრიქონებში დაბინავდა, წიგნებში ჩაეწერა; ვინც დღესაც ახსოვთ და პატივს მიაგებენ სოფელში.

... "ერთხელ, თურმე..." – იტყვიან ლამისყანაში და ცოცხლდება რომელიმე ეპიზოდი გოგლას ცხოვრებიდან.

"ერთხელ, გოგლა, თურმე"... – ახლა სხვა გაიხსენებს და ისეთი ამბავგალა გადაიწვნება, აქამდე სტუმრისა და უცხოს ყურთასმენას რომ არ მისწვდენია.

– ერთხელ მთიდან დაბრუნებულა შინ, სადაც შეიტყო, რომ თბილისის ცირკში ჭიდაობა იმართებოდა. დაეკრა ფეხი და დილით დედაქალაქში დარჭობილიყო, განა ტყუილუბრალოდ, ვისაც დასჭიდებია, ყველა წაუქცევია... ასე იყო, სადაც არ უნდა გაეგო, აქა და აქ ჭიდაობა იმართებაო, თურმე არასდიდებით არ გააცდენდა, არ გამოაკლდებოდა მარაქას...

– ერთხელ, სხვა დროსა და სხვაგან, შევერცხლილი ცხენი მოუგია. ამ ფრიად უჩვეულო საჩუქრის ამბავი ასეთნაირად მომხდარა: ლამისყანიდან კარგად ვარგისი საკუთარი ღვინო წაეღო გასაყიდად. ბაზარში დიდკაცს ჩამოევლო ცხენით. გაუსინჯავს მისი ღვინო, ეგზომ მოსწონებია და ანაზდეულად შეუთავაზებია: – როგორი თავმოსაწონი ღვინოც გაქვს, ეგეთივე კოკობვარდი მოჭიდავე იქნები, აქ რას უდგეხარ, აგერ დუქნების ბოლოზედა ჭიდაობა იწყება, ჩემს სამ ვაჟს დაგჭიდებ, ერთმაც თუ გაჯობოს, აემ ღვინოზე ხელი დაიბანე, შენ თუ ივაჟკაცებ, ამ ცხენს გითმობ, შენთვის მიფეშქაშებიაო... შეთანხმებულან და... გოგლას გაამაყებული მამის თვალწინ სამივე ვაჟიშვილი ძირს დაუცია. ოღონდაც, იმას სიტყვა არ გაუტეხავს, ულვაში არ შეურცხვენია და ის შევერცხლილი ბედაური დაუთმია. გოგლა ლამისყანაში ამ ცხენით დაბრუნებულა, მაგრამ ერთ თვეში პატრონისათვის უკან მიუგვრია: – ძია კაცო, გულის ვარამად ისიც გეყოფა, ბიჭები რომ დაგიმცირე, ახლა ამ კარგ ცხენზე დარდით რომ არ დაგიმძიმოო...

– ერთხელ გოგლა თანასოფლელებს გამოექომაგა, რომლებიც დასახვრეტად მიჰყავდათ, და რამდენიმე კაზაკს თავპირი დაუსისხლიანა. ისიც დასახვრეტად გაამწესეს, მაგრამ, როგორღაც, უღალატო მეგობრის – სანდრო კანდელაკის – სახელმა და ავტორიტეტმა უშველა, დახვრეტა ციხით შეუცვალეს, ჰოდა, ზის ავჭალის ციხეში. პატიმარი რამაზაშვილი "ფიქრის გორაზე" მოწყობილ საჭიდაოზე ხიშტიანი "სტრაჟნიკების" ბადრაგით გაიყვანეს. იქ კი ყველა დაჯაბნა და კმაყოფილი ციხის უფროსის ბრძანებით, – რაც მოითხოვოს გათავისუფლების გარდა, სურვილი აღუსრულეთო, – ლამისყანური სახლის გადასახურავად თუნუქით დაუსაჩუქრებიათ. ასე რომ, ციხიდან რომ გამოსულა, ჯილდოთი დაზურგული დაბრუნებია კერას და, თურმე, მისეულ სახლს ახლაც ის სახურავი ადგას.

– ხმელ-ხმელი, მაღალ-მაღალი კაცი ყოფილა, რკინის ყალიბში ფოლადივით ჩამოსხმული მკერდით... მაგრამ, აი, უზბეკური გადასახლების პერიოდში კარგი დღე არ დააყარეს, ბამბის პლანტაციაში ამუშავებენ და მისი ყვავილის მტვრით მხედველობა დააკლდა, უსმელუჭმელს დიზინტერიამ დარია ხელი, გულაგის ამპარტავანი უფროსი კი თავისი ფავორიტი კაზაკი-მოჭიდავით დასუსტებულ პატიმრებს უპატიოდ ეპყრობა, დასცინის და ხარობს. ქართველმა თანასაკნელებმა გოგლა შეაგულიანეს, – ამის ჯავრს ნუ შეგვაჭმევ და ღმერთად მიგიჩნევთო! გოგლა უარზეა, რადგანაც სიქა გამოსცლია. მაშინ რამდენიმე კილოგრამი დაღუნულ-დაღვარჭნილი ლურსმანი "დააძრეს" ქართველებმა, – აი, ეს შენი საჩუქარია და გამოიყენეო, გოგლამ იმ კაზაკთან დასაჭიდებლად ერთი კვირის ვადა ითხოვა. ამასობაში დარაჯს გაურიგდა და პურსა და ერბოში გადაცვალა ლურსმანი, რომელიც თითებით სათითაოდ გაესწორებინა. ერბოს ადნობდა, შავ პურს შიგ აწობდა და ერთი კვირა იმას ეძალებოდა... და, აი, დათქმულ ვადაში საგანგებოდ ნაკვებ და გაზულუქებულ მეტოქეს უნდა შეებას, გაიხადა და ორმხრივად მოსეირეებმა მის კუნთოვან, ფართოდ გადაშლილ მკერდს თვალი რომ შეავლეს, უზომოდ გაოცდნენ... შიშით ჩასვრილმა კაზაკმა პატრონს გახედა თურმე, იმან კი, – აბ, შენ მაგ კლდის მომნგრევი არა ხარო და... გახარებული და გადარჩენილ-დაბრუნებული ქართველი პატიმრები კი ამ ამბავს სხვა დროს სიამაყით იხსენებდნენ საქართველოში ერთმანეთთან შეყრისას...

✦ ლამისყანელები ყოველი წლის 28 ივლისს ივლიტობის საეკლესიო დღესასწაულს იყენებენ... შუაახიელი ახალგაზრდა ქალი, ივლიტე, უშვილო იყო და როცა სხვა დედებს მღვდელმა ბავშვები მოუნათლა, ივლიტემ ქვა შემოსა ჩვილის ტანსაცმელში და ის მოანათვლინა, მღვდელმა პირმშოს ჩვენება მოითხოვა, რათა სახელი დაერქმია პატარისათვის. ივლიტემ, აქაოდა, ჩემი ხრიკი გამჟღავნდებაო, შიშით გადახსნა თავსაბურავი და... სამოსიდან პირბადრი ჩვილი არ შესციცინებს?! ღვთიურმა ძალამ ქვა ადამიანად აქცია... ამიტომაა, რომ წმიდა ივლიტესა და კვირიკეს (ახალშობილს მღვდელმა ეს სახელი დაანათლა) სასწაულმოქმედ ხატს შესთხოვენ ოჯახურ კეთილდღეობას

და ბედნიერებას, მიჩნეულია დაავადებული ბავშვების მფარველ ანგელოზად.

ლამისყანაში წმინდა ივლიტეს ნიში მოწყობილია ზედაველას ტყეში. იქაურ მიდამოს ადგილობრივი ახალგაზრდობის მზრუნველი ხელი ეტყობა. გარჯის შედეგით თვითონ ხომ ხარობენ და კოპწია ტერიტორია მრევლის და სოფლის სტუმრის თვალსაც ახალისებს.

✦ წლევანდელ ივლიტობას გოგლა რამაზაშვილის შთამომავლებმა პაპის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი უსწორეს, რომელიც დაუკავშირეს მისი დაბადებიდან 115-ე წლისთავს, ამიტომ იყო, რომ იმდენი საგანგებოდ დაწესებული პრიზი და ჯილდო გაიცა, რამდენიც აქამდე – არასოდეს: მთავარი იყო "გოგლას თასი," რომელიც ერთ-ერთმა შვილიშვილმა, თამაზ რამაზაშვილმა დააწესა. პაპის სეხნიამ, გიორგი რამაზაშვილმა (ტატამ) შეჯიბრების ორგანიზება იტვირთა და უამრავი მხარდამჭერი და ხელგამართველი შემოიკრიბა ნაცნობ-მეგობართა და თანასოფლელთა სახით. 3-3 პრიზი ჰქონდათ დაწესებული ლამისყანელი ახალგაზრდების "ელიავას ჯგუფის" წარმომადგენლებსა და ყოფილი მოჭიდავის, მიხეილ ფალაშვილის შვილიშვილს – უმცროს მიხეილს. პრიზები გამოყვეს, აგრეთვე, გელა ღვინიაშვილმა (გარდაცვლილი ძმის, კობას, სახელზე), ალიკა ზარიძემ, გიორგი ბეინაშვილმა (წიგნი "ჰიმნი მოჭიდავეებს").

ტურნირს თანადგომა და შეწევნა აღმოუჩინა ლამისყანელმა ქალბატონმა, მარიკა ბეინაშვილმა, რომელიც ოჯახით გერმანიაში ცხოვრობს და ზაფხულის დღეებში მშობლიურ სოფელს ეწვია შვილთან ერთად და ყმაწვილმა ქართველ თანატოლებთან დაჭიდებაც კი გაბედა, ოღონდ გერმანული კი არა, ქართული გვარით. საგანგებოდ უნდა ითქვას, ასევე, ბატონი კობა მაჩხიძის თაობაზე – უკრაინაში მცხოვრებმა ბიზნესმენმა უზრუნველყო უმთავრესი მხარდაჭერა, ფინანსურის სახით; 7 წონით კატეგორიაში მან დააწესა ფულადი ჯილდოები და, აგრეთვე, ცხვარი მძიმე წონაში გამარჯვებულისათვის.

გაიცანით ფინალისტები, ანუ დაჯილდოებულნი: 30 კგ.: ნუგზარ ფავლენიშვილი (ლამისყანა) და გიორგი ჩილინდრიშვილი (ქსოვრისი), 35 კგ.: ვახტანგ თათარაშვილი და ირაკლი ბერიკაშვილი (წილკანი), 40 კგ.: აკაკი ცუცუნაშვილი (ლამისყანა) და გიორგი კახნიაშვილი (სამაჩაბლო), 45 კგ.: შოთა ფავლენიშვილი (ლამისყანა) და შალვა მიდელაშვილი (მუხრანი), 50 კგ.: დიმიტრი იგრიაშვილი (მეტეხი) და ვახტანგ ტაბრუკაშვილი (მუხრანი), 55 კგ.: მალხაზ მეტრეველი (სამაჩაბლო) და ვალერი მაჭარაშვილი (ლამისყანა), 60 კგ.: გიორგი ბროლაშვილი (ოკამი) და დავით გეჯაძე (მეტეხი), 70 კგ.: გიორგი კანკავა (ლამისყანა) და გოჩა ოქრუაშვილი (წილკანი), 80 კგ.: კახა მამულაშვილი (მეტეხი) და რევაზ თვაური (ლამისყანა),

გოგლას თასი ირგუნა მეტეხელმა ბექა ბერძენიშვილმა, წლევანდელი საზაფხულო ჭიდაობის სეზონის უპირობო ლიდერმა და თითქმის ყველა შეჯიბრების გამარჯვებულმა.

ამირან ტალახაძე. (ავტორის ფოტოები).

გვხვდით ჩვენი მკითხველი!

გვხლით ცვხოურვეული ცეოუმვრი

ბვეშვობვში ნვთეკვმი ,,ოურთავნი ოურვბეი,, მთეული ცხ-ოვურებვ ვლოამვბებეი მოგონეებებ, ითინი ლვმ-ცვხოურებოლლ ითვებეი ვლგილ ოკვხოურ ,,ოკრთ ოონლში,, თვთბილვნ თვთბვ გვლვეცემივნ ლვ ყველვ შინვოურეული თვეყურილთ-ბიგ მთვეური ცვხვლთიგთ ცვვმბთბნი ხლებივნ. შეინვხეთ თკვეი ბვეშ-ვთბიგ ცვინ-ცეურეგთ წოთეი ჩვენ ურუბრიკაში ,,მეყნვცოუნვ,, ლვ გვხლით ცვხოურვეული ცეოუმვრი.

,,ყეხოურვ,, გილოცვეთ მვრთავმთბვგ!

,,ყეხოურვ,, ეოლლეებვ ეილლეებვ გვმთხმვოურეებვგ

ურუბრიკა – "წელიწადის მეხუთე დრო"

ელოდება თქვენს გამოხმაურებას. მონიშეანლით რედაქციაში, წარმოადგინეთ თქვენი ნამუშევრები (ელექტრონული ვერსია) და გაცანით ისინი საზოგადოებას.

,,ვხალი გვნთავლი,, ეძეებგ ცვინცეერეგლთ ცოურვთებგ ურვიონგ ცვგვ-ზეთთ თოცლ-მც�იანგ შეცვკმნელოვლ. თხოვნით მივმურთვთ თანვურვიონელებგ - ლცლოვეთ თკვეი ყვალი ჩვენგ მცლიანგეში! გვმოგვიგზავნეთ ცვინცეერეგლთ ლვ ცვხალიგლთ თოცლები!

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერეებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,კოლორში,,